სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/27

ქ. თბილისი 22 ივლისი 2020

სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებებში არსებული სამეცნიერო თანამდებობების ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-04/91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

	თანამდებობა	**საშტატო ერთეული**	**დამატებითი მოთხოვნები**
		მართვის პროცესებისა და მოწყობილობების განყოფილება	
1	განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	1	- გააჩნდეს განყოფილების თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო სპეციალობა; - ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციის მასალებში), რომელთაგან 3 მაინც – საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემაში (Elsevier, Scopus, Web of Science და სხვა ბაზებში) ან/და

			საერთაშორისო კონფერენციათა მასალებში.
ინფორმაციის გარდაქმნის პრობლემების განყოფილება			
2	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	0,5	- გააჩნდეს განყოფილების თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო სპეციალობა; - გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), რომელთაგან 3 მაინც: - იმ განყოფილების სამეცნიერო მიმართულებით, რომელშიც კონკურსანტი აპირებს განაცხადის შეტანას; - საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებსა ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.
ენობრივი მოდელირების განყოფილება			
3	მეცნიერი თანამშრომელი	0,5	გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ბოლო სამი წლის მანძილზე 1 სამეცნიერო ნაშრომი მაინც.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**